ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02/10/92

ქ. თბილისი

03.12.2014 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის თემურ თორდინავას სახით და მეორეს მხრივ ფპ გიორგი ვაშაყმაძე (შემდგომში–მიმწოდებელი), “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია ქ.თბილისის 160 (ასსამოცი) საბავშვო ბაგა-ბაღისათვის პროფესიონალური ფოტოსურათების გადაღება და მიწოდება. თითოეულ ბაღზე უნდა მოხდეს 10-15 ცალი ფოტოსურათის გადაღება და ელექტრონული ვერსიის მიწოდება შემსყიდველისათვის. (CPV 79960000 ფოტოგრაფიული და დამატებითი მომსახურებები)

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 1875.00 (ერთიათას რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი გაუწევს მომსახურება შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2014 წლის 29 დეკემბრისა.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შემსყიდვლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და კოორდინაციის მენეჯერს ვლადიმერ გაბოძეს.

5.2. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებით.

5.3. მომსახურების გაწევა დასრულებულად მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არაუმეტეს 15 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს სრულყოფილი მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. მის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. სხვა პირობები

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

11.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ მისამართი: ქ. თბილსი, ყაზბეგის გამზ. #30 საიდენტიფიკაციო კოდი № 404905475 საბანკო რეკვიზიტები: სს “ლიბერთი ბანკი” საბანკო კოდი LBRTGE 22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE48LB0115140326331000	**მიმწოდებელი:** ფპ გიორგი ვაშაყმაძე მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის III მ.რ. 5ა კორპუსი, ბინა 9 ტელ: 577 21 73 59 პ/ნ : 60001121217 საბანკო რეკვიზიტები: სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ საბანკო კოდი KSBGGE22 ა. ა. № GE64KS0036010119628401
დირექტორი	
_____ თემურ თორდინავა	_____ გიორგი ვაშაყმაძე